

**ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დადგენილება №26**

2018 წლის 13 თებერვალი

ქ. რუსთავი

„ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 დეკემბრის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

„ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 დეკემბრის №4 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 21/12/2017, №190020020.35.160.016440) შევიდეს ცვლილება და დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ლევანი ონიანი

დანართი

თავი I

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი

მუხლი 1. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა		
			სულ	საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტი
შემოსავლები	38 695,1	37 779,1	43 382,1	34 284,6	9 097,5
გადასახადები	14 451,4	14 092,3	13 600,0	13 600,0	0,0
გრანტები	19 373,6	17 758,7	24 437,5	15 340,0	9 097,5
სხვა შემოსავლები	4 870,1	5 928,1	5 344,6	5 344,6	0,0
ხარჯები	32 138,7	30 181,1	30 180,8	29 688,9	491,9
შრომის ანაზღაურება	4 134,1	3 540,0	3 877,8	3 682,8	195,0
საქონელი და მომსახურება	2 763,3	3 060,6	3 306,1	3 244,0	62,1
პროცენტი	377,6	294,5	320,0	320,0	0,0
სუბსიდიები	17 303,5	17 854,9	18 767,3	18 537,5	229,8
გრანტები	495,2	3,3	4,0	4,0	0,0
სოციალური უზრუნველყოფა	3 052,4	2 541,9	2 663,9	2 658,9	5,0



სხვა ხარჯები	4 012,7	2 885,8	1 241,6	1 241,6	0,0
საოპერაციო სალდო	6 556,4	7 598,0	13 201,3	4 595,7	8 605,6
არაფინანსური აქტივების ცვლილება	9 693,9	6 522,5	15 264,5	5 311,8	9 952,7
ზრდა	10 966,1	8 095,8	16 064,5	6 111,8	9 952,7
კლება	1 272,2	1 573,3	800,0	800,0	0,0
მთლიანი სალდო	-3 137,5	1 075,5	-2 063,2	-716,0	-1 347,2
ფინანსური აქტივების ცვლილება	-4 259,1	-1 003,1	-2 854,8	-1 507,6	-1 347,2
ზრდა	5 084,6	3 938,4	0,0	0,0	0,0
ვალუტა და დეპოზიტები	5 084,6	3 938,4	0,0		
კლება	9 343,7	4 941,6	2 854,8	1 507,6	1 347,2
ვალუტა და დეპოზიტები	9 343,7	4 941,6	2 854,8	1 507,6	1 347,2
ვალდებულებების ცვლილება	-1 121,6	-2 078,6	-791,6	-791,6	0,0
კლება	1 121,6	2 078,6	791,6	791,6	0,0
საშინაო	1 121,6	2 078,6	791,6	791,6	0,0
ბალანსი	0,0	0,0	0,0	0,0	0,0

მუხლი 2. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება
განისაზღვროს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა		
			სულ	საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტი
შემოსულობები	39 967,3	39 352,3	44 182,1	35 084,6	9 097,5
შემოსავლები	38 695,1	37 779,1	43 382,1	34 284,6	9 097,5
არაფინანსური აქტივების კლება	1 272,2	1 573,3	800,0	800,0	0,0
გადასახდელები	44 226,4	40 355,4	47 036,9	36 592,2	10 444,6
ხარჯები	32 138,7	30 181,1	30 180,8	29 688,9	491,9
არაფინანსური აქტივების ზრდა	10 966,1	8 095,8	16 064,5	6 111,8	9 952,7
ვალდებულებების კლება	1 121,6	2 078,6	791,6	791,6	0,0
ნაშთის ცვლილება	-4 259,1	-1 003,1	-2 854,8	-1 507,6	-1 347,2

მუხლი 3. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები
განისაზღვროს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 43 382,1 ათასი ლარის ოდენობით:



დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა		
			სულ	საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტი
შემოსავლები	38 695,1	37 779,1	43 382,1	34 284,6	9 097,5
გადასახადები	14 451,4	14 092,3	13 600,0	13 600,0	0,0
გრანტები	19 373,6	17 758,7	24 437,5	15 340,0	9 097,5
სხვა შემოსავლები	4 870,1	5 928,1	5 344,6	5 344,6	0,0

მუხლი 4. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 13 600,0 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა
გადასახადები	14 451,4	14 092,3	13 600,0
საშემოსავლო გადასახადი	3 191,1	2 576,4	2 300,0
ქონების გადასახადი	11 260,3	11 515,9	11 300,0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	6 345,0	6 852,5	7 500,0
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	25,1	28,1	0,0
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	122,8	163,6	100,0
სასაოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	23,5	12,5	0,0
არასასაოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	4 743,9	4 459,1	3 700,0

მუხლი 5. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 24 437,5 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა
გრანტები	19 373,6	17 758,7	24 437,5
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები	124,7	152,3	389,7
სახელმწიფო მმართველობის სხვადასხვა დონის ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები	19 248,9	17 606,5	24 047,8
გათანაბრებითი ტრანსფერი	11 093,8	10 693,8	14 950,3
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	500,0	500,0	500,0
სპეციალური ტრანსფერი	7 655,1	6 412,7	8 597,5
მ.შ. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი სახსრები	7 655,1	6 412,7	8 597,5



მუხლი 6. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 5 344,6 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა
სხვა შემოსავლები	4 870,1	5 928,1	5 344,6
შემოსავლები საკუთრებიდან	971,2	620,5	465,0
პროცენტები	717,0	250,9	200,0
დივიდენდები	9,8	27,0	35,0
რენტა	244,3	342,6	230,0
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	176,0	263,6	150,0
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	68,4	79,0	80,0
საქონელი და მომსახურების რეალიზაცია	2 698,4	3 723,5	3 551,3
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	2 647,6	3 672,4	3 521,3
სანებართვო მოსაკრებელი	59,5	72,4	70,2
საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი	0,1	0,1	0,0
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	2,4	2,0	1,0
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	1 722,3	2 720,1	2 500,0
კულტურული მემკვიდრეობის სარეაბილიტაციო არეალის ინფრასტრუქტურის ადგილობრივი მოსაკრებელი	0,0	0,0	0,0
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	863,4	877,8	950,1
სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი	0,0	0,0	0,0
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	50,8	51,1	30,0
შემოსავლები საქონლის რეალიზაციიდან	0,0	0,0	0,0
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	50,8	51,1	30,0
ჯარიმები, სანქციები და საურავები	928,4	1 153,0	1 100,0
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	272,2	431,1	228,3

მუხლი 7. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 30 180,8 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა		
			სულ	საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტი
ხარჯები	32 138,7	30 181,1	30 180,8	29 688,9	491,9



შრომის ანაზღაურება	4 134,1	3 540,0	3 877,8	3 682,8	195,0
საკონელი და მომსახურება	2 763,3	3 060,6	3 306,1	3 244,0	62,1
პროცენტი	377,6	294,5	320,0	320,0	0,0
სუბსიდიები	17 303,5	17 854,9	18 767,3	18 537,5	229,8
გრანტები	495,2	3,3	4,0	4,0	0,0
სოციალური უზრუნველყოფა	3 052,4	2 541,9	2 663,9	2 658,9	5,0
სხვა ხარჯები	4 012,7	2 885,8	1 241,6	1 241,6	0,0

მუხლი 8. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება
განისაზღვროს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 15 264,5 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 16 064,5 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

კოდი	დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა		
				სულ	საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტი
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	487,5	25,8	12,8	12,8	0,0
02 00	თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	2,0	4,7	8,1	0,0	8,1
03 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	8 541,1	5 797,6	14 964,5	5 533,2	9 431,3
04 00	საგანმანათლებლო დონის დიებები	1 011,3	1 257,9	179,9	89,4	90,5
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	920,0	1 008,2	899,2	476,4	422,8
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	4,2	1,5	0,0	0,0	0,0
სულ ჯამი		10 966,1	8 095,8	16 064,5	6 111,8	9 952,7

ბ) განისაზღვროს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 800,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა
არაფინანსური აქტივების კლება	1 272,2	1 573,3	800,0
ძირითადი აქტივები	60,2	516,3	200,0
არაწარმოებული აქტივები	1 212,0	1 057,0	600,0
მიწა	1 212,0	1 057,0	600,0



მუხლი 9. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია
 განისაზღვროს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით:

ფუნქც. კოდი	დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა		
				სულ	საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტი
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	6 822,6	5 793,7	6 189,8	6 189,8	0,0
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	5 969,0	5 099,4	5 731,6	5 731,6	0,0
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	5 969,0	5 099,4	5 537,2	5 537,2	0,0
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0,0	0,0	194,4	194,4	0,0
7013	საერთო დანიშნულების მომსახურება	476,0	399,7	138,2	138,2	0,0
70133	საერთო დანიშნულების სხვა მომსახურება	476,0	399,7	138,2	138,2	0,0
7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	377,6	294,5	320,0	320,0	0,0
702	თავდაცვა	261,1	235,9	267,2	0,0	267,2
7021	შეიარაღებული ძალები	261,1	235,9	267,2	0,0	267,2
704	ეკონომიკური საქმიანობა	5 471,3	5 712,8	12 145,6	3 795,5	8 350,1
7045	ტრანსპორტი	5 346,8	5 561,0	11 565,6	3 215,5	8 350,1
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	5 346,8	5 561,0	11 565,6	3 215,5	8 350,1
7047	ეკონომიკის სხვა დარგები	124,5	151,8	580,0	580,0	0,0
70474	მრავალმიზნობრივი განვითარების პროექტები	124,5	151,8	580,0	580,0	0,0
705	გარემოს დაცვა	2 914,8	2 672,1	5 319,2	5 319,2	0,0
7052	ჩამდინარე წყლების მართვა	71,3	32,1	71,0	71,0	0,0
7054	ბიომრავალფეროვნებისა და ლანდშაფტების დაცვა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
7056	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა გარემოს დაცვის სფეროში	2 843,5	2 640,0	5 248,3	5 248,3	0,0
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	10 940,4	7 342,9	5 769,4	4 688,2	1 081,2
7061	ბინათმშენებლობა	617,6	1 029,8	718,7	590,7	128,0
7062	კომუნალური მეურნეობის განვითარება	4 436,5	640,9	1 601,0	682,7	918,3
7064	გარე განათება	963,4	1 160,7	1 010,0	1 010,0	0,0
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	4 922,9	4 511,5	2 439,7	2 404,8	34,9
707	ჯანმრთელობის დაცვა	231,3	235,9	243,0	13,2	229,8



7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	231,3	235,9	243,0	13,2	229,8
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	6 999,4	6 271,2	6 334,1	5 911,3	422,8
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	3 718,9	2 942,6	1 983,9	1 561,1	422,8
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	1 308,3	1 276,8	1 215,8	1 215,8	0,0
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	232,5	292,5	129,9	129,9	0,0
7086	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და სპორტის სფეროში	1 739,7	1 759,3	3 004,6	3 004,6	0,0
709	განათლება	5 946,8	7 013,4	6 810,8	6 720,3	90,5
7091	სკოლამდელი აღზრდა	5 946,8	7 013,4	6 810,8	6 720,3	90,5
710	სოციალური დაცვა	3 517,1	2 998,9	3 166,1	3 163,1	3,0
7101	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვა	757,3	366,6	437,0	437,0	0,0
71011	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	652,9	216,8	236,0	236,0	0,0
71012	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვა	104,3	149,9	201,0	201,0	0,0
7102	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	1 042,1	1 167,9	1 356,4	1 356,4	0,0
7103	მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა	18,6	16,9	24,3	24,3	0,0
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	213,6	229,9	301,3	301,3	0,0
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	1 485,6	1 217,6	1 047,1	1 044,1	3,0
	სულ	43 104,8	38 276,9	46 245,3	35 800,6	10 444,6

მუხლი 10. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

განისაზღვროს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო (-2 063,2) ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 11. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

1. განისაზღვროს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება (-2 854,8) ათასი ლარის ოდენობით.
2. განისაზღვროს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება 2 854,8 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 12. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

განისაზღვროს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება (-791,6) ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მიერ 2018 წელს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიმართ გასასტუმრებელი ვალდებულებები შეადგენს 791,6 ათას ლარს.

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გასასტუმრებელი ვალის ნაშთი 2017 წლის ბოლოს განისაზღვრება 3 309,0 ათასი ლარით.

მუხლი 13. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების



მიზნით ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 193,4 ათასი ლარის ოდენობით და მისი განკარგვა განხორციელდეს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის გადაწყვეტილების შესაბამისად.

მუხლი 14. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი

1. დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი, 500.0 ათასი ლარი, მიიმართოს:

ა) „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის – 267,2 ათასი ლარი;

ბ) „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის – 229,8 ათასი ლარი;

გ) „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის – 3.0 ათასი ლარი.

2. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 69-ე მუხლის საფუძველზე წლის განმავლობაში შესაძლებელია დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ღონისძიებებს შორის ურთიერთგადანაწილება.

თავი II

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2018–2021 წლების ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

მუხლი 15. ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

1. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელი პირობაა მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში ქალაქის საცხოვრებელი უბნების ეზოების, დასასვენებელი პარკების და საცხოვრებელი კორპუსების კეთილმოწყობა. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

1.1 საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქ. რუსთავში არსებული რეაბილიტირებული ცენტრალური გზების მდგომარეობის შენარჩუნება, მოვლა-პატრონობა, ასევე, ახალი და შიდაკვარტალური მისასვლელი გზების რეაბილიტაცია.

1.1.1 გზებისა და ტროტუარების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 01 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ქალაქში არსებული შიდაგზების, ეზოებისა და ტროტუარების რეაბილიტაცია და გზების ორმული დამუშავება, კერძოდ: მარცხენა და მარჯვენა სანაპიროს ეზოების ასფალტ/საფარის რეაბილიტაცია. ასევე რეგიონის განვითარების ფონდიდან დასაფინანსებელი პროექტები.

1.1.2 ქუჩებში ფეხით მოსიარულეთა გადასასვლელებისა და საგზაო მოძრაობის მარეგულირებელი/სათვალთვალო სისტემების მოწყობა (პროგრამული კოდი 03 01 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ქალაქში აუცილებელ მონაკვეთებზე ე.წ. „მოლიარე პოლიციელების“ მოწყობა, ქუჩების დახაზვა და საგზაო ნიშნების მონტაჟი, აგრეთვე სათვალთვალო (ზოგადი ხედვის) კამერების შექმნა.

1.2 კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება საცხოვრებელი კორპუსების კეთილმოწყობა, გარე განათების ქსელის გაფართოება, არსებული ქსელის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები; უზრუნველყოფილი იქნება ქალაქის დასუფთავება; სანიაღვრე/საკანალიზაციო ქსელის რეაბილიტაცია; დაგეგმილია ქალაქის ინფრასტრუქტურისა და გამწვანების მოვლა-პატრონობა.



1.2.1 საცხოვრებელი კორპუსების კეთილმოწყობა (პროგრამული კოდი 03 02 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მრავალსართულიანი სახლების სახურავებისა და ფასადების რეაბილიტაცია; ასევე დაგეგმილია საზოგადოებრივი აქტივობების ხელშეწყობა, სამოქალაქო პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა, მიზნობრივი პროგრამების შემუშავება და მათ განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ჩართულობის უზრუნველყოფა. პროგრამაში მოსახლეობის ჩართულობის პრინციპით განხორციელდება მრავალსართულიანი საცხოვრებელი შენობების სხვადასხვა კომუნალური პირობების მოწესრიგება.

1.2.2 გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების ელ. ენერჯის ხარჯი, ქალაქის ცენტრალურ და შემდგომ შიდაკვარტალურ გზებზე არსებული ნათურები შეიცვლება ეკონათურებით, რაც ქალაქის გარე განათების ელ. ენერჯის ხარჯს 3-ჯერ დაზოგავს. რეაბილიტირებულ გზებზე და შიდაკვარტალურ ეზოებში სანათი წერტილების მოწყობა/რეაბილიტაცია.

1.2.3 ქალაქის ეკოლოგიური დაცვა (პროგრამული კოდი 03 02 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქალაქის ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება ა(ა)იპ „ქალაქ რუსთავის დასუფთავების“ მეშვეობით, რომელიც უზრუნველყოფს საცხოვრებელი კორპუსების შიდა ბუნკერების და გარე ქსელის ბუნკერების საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან გათავისუფლებასა და საცხოვრებელი სახლების ეზოებში დაგვა-დასუფთავებას მეზოვების მეშვეობით. ასევე მოწესრიგდება გამწვანებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურა.

1.2.4 წყლისა და სანიაღვრე/საკანალიზაციო სისტემების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 02 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქალაქის გარკვეულ უბნებზე სანიაღვრე სისტემების მოწესრიგება.

1.2.5 ქალაქში არსებული ინფრასტრუქტურისა და გამწვანების მოვლა-პატრონობა (პროგრამული კოდი 03 02 05)

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ააიპ „უზრუნველყოფის“ პროგრამა, რაშიც გათვალისწინებულია არსებული გამწვანების მოვლა-პატრონობა, ახალი ხეების დარგვა და გამწვანების ზოლებში ყვავილებისა და სხვა დეკორატიული მცენარეების განაშენიანება, შადრევნების მოვლა-პატრონობის სამუშაოები; ასევე ქალაქის საკუთრებაში მრავლად არის შენობა-ნაგებობები და სხვადასხვა ობიექტები, რომლებიც ამ ეტაპზე არ გამოიყენება თვითმმართველი ქალაქის საჭიროებებისათვის და შესაძლოა განხორციელდეს მათი ეტაპობრივი პრივატიზაცია. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება შესაბამისი ღონისძიებები მათი არსებული მდგომარეობის შენარჩუნებისა და უცხო პირთა ხელყოფისაგან დაცვის მიზნით; ასევე ზემოხსენებული ააიპ-ი განახორციელებს ქალაქის გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობას.

1.3 ქალაქის კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სკვერების რეაბილიტაცია/კეთილმოწყობა, არასაცხოვრებელი შენობების რეაბილიტაცია, ავარიულ მდგომარეობაში მყოფი საცხოვრებელი შენობების გამაგრების ხარჯები.

1.3.1 სკვერების, ეზოების, ძეგლებისა და მემორიალების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 03 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სკვერების/გაზონების დეკორატიული ღობით მოპირკეთებისა და მოწყობა/რეაბილიტირებასთან დაკავშირებული სამშენებლო სამუშაოები.

1.3.2 საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების რემონტი (პროგრამული კოდი 03 03 02)

ქალაქის საკუთრებაში საკმაოდ ბევრი არასაცხოვრებელი დანიშნულების შენობებია, რომლებიც ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული დატვირთვის მატარებელია. შენობების ექსპლუატაციის პერიოდის გათვალისწინებით, ხშირად დგება დღის წესრიგში მათზე მიმდინარე სხვადასხვა სახის სარემონტო სამუშაოების შესრულება. ქვეპროგრამის მიზანი ამ შემთხვევაში შენობების ექსპლუატაციისათვის ვარგისიანობის შენარჩუნებაა, რა დროსაც არსებული სარემონტო სამუშაოებით ხდება უფრო მეტი დაზიანებებისა და შესაბამისად მეტი საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის თავიდან აცილება; ასევე დაგეგმილია ავარიული საცხოვრებელი სახლების გამაგრების სამუშაოები.



1.3.3 ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და ექსპერტიზის ხარჯები (პროგრამული კოდი 03 03 05)

ქალაქში დაგეგმილი სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების საფუძველს მოქმედი სამშენებლო ნორმებითა და წესების გათვალისწინებით შესაბამისი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია წარმოადგენს. ხოლო საჭიროების შემთხვევებში აუცილებელია შესაბამისი გეოლოგიური კვლევების წარმოება. ასევე აუცილებელია სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა და შესრულებულ სამუშაოებზე შესაბამისი ექსპერტიზის ჩატარება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება შესრულებული სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასთან შესაბამისობის დადგენა. ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ზემოაღნიშნული ღონისძიებების განხორციელებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

1.4 მუნიციპალური ტრანსპორტის დოტაცია (პროგრამული კოდი 03 04)

პროგრამის ფარგლებში დოტაციური პრინციპით ფინანსდება შპს „რუსთავის მუნიციპალური ავტოტრანსპორტის საწარმო“, რომელიც უზრუნველყოფს შიდასაქალაქო ავტობუსებით მგზავრთა გადაყვანას. ავტობუსების საწვავისა და მარაგ ნაწილების სულ უფრო მზარდი ფასები ასახავს პოულობს მგზავრობის საფასურზე. პროგრამის ძირითადი დანიშნულებაა შიდასაქალაქო ტრანსპორტით მოსარგებლე მოსახლეობისათვის არსებული ტარიფის შენარჩუნება შესაბამისი ორგანიზაციის დოტაციის გზით, რასაც მნიშვნელოვანი სოციალური დატვირთვა გააჩნია.

1.5 მონაწილეობითი ბიუჯეტირების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 03 05)

ქვეპროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შედგენის პროცესში ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობას. აღნიშნული პროექტი დაფინანსებულ იქნა ევროკომისიის მიერ შესაბამის საგრანტო ხელშეკრულებაზე დაყრდნობით, სადაც თანადაფინანსების პრინციპით პროექტის ღირებულების 90%-ს დააფინანსებს ევროკომისია, ხოლო 10% წილის ასიგნება ეკუთვნის თვითმმართველობას. პროექტის ფარგლებში მოხდება მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში და ტერიტორიულ ორგანოებში შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა, ასევე მოქალაქეთა მეტი ჩართულობის მიზნით მათი ინფორმირება, რაც ხელს შეუწყობს ბიუჯეტის პრიორიტეტების შედგენისას გამჭვირვალების გაზრდას და მათი მოსაზრებების ასახვას ქალაქის მთავარ ფინანსურ დოკუმენტში.

2. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით, დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა, მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად თვითმმართველობის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია და ინვენტარით უზრუნველყოფა.

2.1 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 01 01)

პროგრამას ახორციელებს ააიპ „რუსთავის ბავშვების გაერთიანება“; ქალაქში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 20 საბავშვო ბაღი, სადაც სკოლამდელ განათლებას იღებს 6 490 ბავშვი. საბავშვო ბაღებში რეაბილიტირების ჩატარების შემდეგ დაგეგმილია დამატებითი ჯგუფების გახსნა, რის შედეგადაც ბავშვების რაოდენობა გაიზრდება. ახალი ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად გაუმჯობესდება კვების რაციონი. ასევე დაგეგმილია საბავშვო ბაღების რემონტი და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა.

2.2 შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 01 02)

პროგრამის ფარგლებში ფინანსდება ააიპ „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ცენტრი“, სადაც რეაბილიტაციის კურსს გაივლის 220-მდე ბენეფიციარი.

3. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)

ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდობის მრავალმხრივი განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის



დამკვიდრება. შესაბამისად, თვითმმართველობა განაგრძობს წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება.

3.1 სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება.

3.1.1 სასპორტო სკოლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01 01)

ქვეპროგრამა მოიცავს ააიპ „რუსთავის სასპორტო სკოლების განვითარების ცენტრის“ დაფინანსებას, რომელიც აერთიანებს 4 სპორტულ სკოლას და 1300-ზე მეტ სპორტსმენს; ცენტრი მოიცავს სპორტის სხვადასხვა სახეობას და უზრუნველყოფს ამ სახეობების განვითარებას, მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩაბმას და მათთვის საწვრთნელი პირობების შექმნას.

3.1.2 სპორტული კლუბების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01 02)

ქვეპროგრამა მოიცავს საკალათბურთო (შპს „რუსთავი 1991“) და სარაგბო (ააიპ „რუსთავის ხარები“) კლუბების ფინანსურ მხარდაჭერას.

3.1.3 სპორტული და საბავშვო ინფრასტრუქტურის მოწყობა/რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 05 01 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება საბავშვო გასართობი ატრაქციონების საბავშვო მოედნების მოწყობა-რეაბილიტაცია და ასევე განხორციელდება ქალაქში არსებული სპორტული კომპლექსების რეაბილიტაცია და მოედნების მოწყობა/რეაბილიტირება.

3.2 კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)

კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით, პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული დაწესებულებების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები.

3.2.1 სახელოვნებო სკოლები (ქვეპროგრამის კოდი 05 02 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ააიპ „სახელოვნებო გაერთიანებათა ცენტრი“, რომელიც აერთიანებს კულტურის ცენტრში არსებულ ადგილობრივ ანსამბლებს, 3 მუსიკალურ, 1 ხელოვნებისა და 1 სამხატვრო სკოლას, სადაც სწავლობს 1000-ზე მეტი მოსწავლე; ასევე ზემოხსენებული ა(ა)იპ-ი უზრუნველყოფს სადღესასწაულო ღონისძიებების მოწყობას. აღნიშნული ა(ა)იპ-ის უმთავრესი მიზანია ხელოვნების დარგების განვითარების ხელშეწყობა, ლიტერატურული და თოჯინური თეატრების აღორძინება, ხალხური რეწვის მივიწყებული დარგების აღორძინება და პოპულარიზაცია, ნიჭიერი ინდივიდუალური შემსრულებლებისა და შემოქმედებითი კოლექტივების საქმიანობის ხელშეწყობა, სამუსიკო და ქორეოგრაფიული ნიმუშების შესწავლისა და პოპულარიზაციისათვის სათანადო პირობების შექმნა.

3.2.2 თეატრის ხელშეწყობა (ქვეპროგრამის კოდი 05 02 03)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ა(ა)იპ „გ. ლორთქიფანიძის სახელობის რუსთავის თეატრის“ მიერ ორგანიზებული ღონისძიებების დაფინანსებას, როგორებიცაა: მხატვრული აღზრდის პროპაგანდა, ყველა თაობის ნიჭიერ შემოქმედთა ხელშეწყობა, ეროვნული თეატრალური ხელოვნების განვითარება, პოპულარიზაცია, ტრადიციების აღორძინება; გაამძაფროს საზოგადოების ინტერესი თეატრალური ხელოვნებისადმი და მოიზიდოს ყველა თაობის მაყურებელი.

3.2.3 მუზეუმის ხელშეწყობა (ქვეპროგრამის კოდი 05 02 04)

ქვეპროგრამა მოიცავს ა(ა)იპ „რუსთავის ისტორიული მუზეუმის“ დაფინანსებას, რომელიც სისტემატურად მოიპოვებს, იცავს, იკვლევს, პოპულარიზაციას უწყევს და გამოფენს ადამიანთა და მათი საარსებო გარემოს ამსახველ ნივთიერ მასალას; შეისწავლის მათ, განათლების, საზოგადოებისათვის ცოდნის გაცემის და ესთეტიური სიამოვნების მინიჭების მიზნით; მუზეუმი აღვივებს საზოგადოების თვითშეგნებას პატრიოტული სულისკვეთებით.



3.2.4 ბიბლიოთეკების ხელშეწყობა (ქვეპროგრამის კოდი 05 02 05)

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ა(ა)იპ „რუსთავის საბიბლიოთეკო გაერთიანება“, რომელიც აერთიანებს 4 ბიბლიოთეკას, სადაც ხდება ბიბლიოგრაფიული და საინფორმაციო მუშაობის ხელშეწყობა, წიგნადი ფონდების შევსება-დაკომპლექტება და სრული აღრიცხვა, ყველა ასაკის მკითხველის მომსახურება საჭირო ინფორმაციით და საბიბლიოთეკო დოკუმენტებით.

3.2.5 კულტურისა და დასვენების პარკის რეაბილიტაცია (ქვეპროგრამის კოდი 05 02 07)

ქვეპროგრამის ფარგლებში გაგრძელდება ქალაქში ერთ-ერთი დიდი რეკრეაციული ზონის გაუმჯობესება, რაც შექმნის საუკეთესო დასასვენებელ ადგილს მოსახლეობის ნებისმიერი ასაკისათვის.

3.3 ახალგაზრდობის განვითარებისა და ინიციატივების თანადაფინანსების პროგრამა (პროგრამული კოდი 05 03)

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ააიპ „ახალგაზრდობის განვითარებისა და ხელშეწყობის ცენტრი“, ეს უკანასკნელი უზრუნველყოფს სხვადასხვა ღონისძიებების გამართვას, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა თაობის მეტ ჩართულობას ქალაქის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის განვითარებაში. ასევე მოხდება ახალგაზრდა (29 წლამდე) რუსთაველ (რეგისტრირებული) ინიციატორთა პროექტების თანადაფინანსება (არაუმეტეს 50%), უცხოური გრანტების მოზიდვის შემთხვევაში, რომელშიც გათვალისწინებული იქნება მუნიციპალიტეტის ექსკლუზიური უფლებამოსილებები.

4. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. თვითმმართველობა არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებითა და შეღავათებით უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ ქალაქის, არამედ მთელი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადაწყვეტილებით და ინფექციური დაავადებებისაგან.

4.1 საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება (პროგრამული კოდი 06 01)

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, კერძოდ:

- არსებობის შემთხვევაში ცოფის კერის ლიკვიდაცია და დაკბენილი მოსახლეობის ზუსტი აღრიცხვა, სასწრაფო შეტყობინების სისტემის დახვეწა და გაუმჯობესება;
